ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემაა ,,წლებით ჭარბ და დეფიციტურ რეგიონების გეოგრაფია''. ზოგადად, მტკნარი წყალი მსოფლიოს ზოგიერთი რეგიონისათვის დეფიციტს წარმოადგენს. ეს საკითხი ძალიან აქტუალურია და დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისთვის. ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს წყლის რესურსების განაწილება მსოფლიოში, რეგიონში და საქართველოში. ხაზი გაუსვას, ჭარბ და დეფიციტურ რეგიონებს და განსაზღვროს ის პრობლემები, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული. ასევე ეხება, წყლის რესურსების განაწილების და მოხმარების რეგიონულ (კავკასიის, ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთის) თავისებურებებს, მათ კავშირს მოსახლეობასა და მეურნეობასთან.

როგორც ცნობილია, საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, რეგიონში კი საპირისპირო სიტუაციაა, ამიტომაც ჩემი მიზანი იყო, განმესაზღვრა ვის შეიძლება ჰქონდეს ინტერესი ჩვენს ქვეყანაში რესურსზე. შეუძლია თუ არა საქართველოს წყლის ექსპორტს გაცილებით ფართომასშტაბიანი გახდეს? რადგან, რეგიონში (იგულისხმება სამხრეთ კავკასია, ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი) მტკნარი წყლის დეფიციტია, საქართველოს კი აქვს დიდი პოტენციალი დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნა. ასევე, თემაში განხილულია, საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა და მათი თავისებურებები. მხარეებში წყლის ჩამონადენის მიხედვით გამოთვლილია მისი რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე და ფართობის ერთეულზე, რომელიც არსებული მდგომარეობის ზუსტ სურათს ასახავს და ვალიდური დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

აღნიშნულ ნაშრომში, განხილულია წყალთან დაკავშირებული კონფლიქტები ისრაელისა და ეგვიპტის მაგალითზე. მტკნარი წყლის დეფიციტი, ხშირად ხდება დაპირისპირების საფუძველი ქვეყნებს შორის. ამის კარგ მაგალითს კი, წამოგვიდგენს

ზემოთხსენებული კონფლიქტი. ასევე, თემა ეხება მსოფლიოში წყლის ძირითად ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს და მათ თავისებურებებს.

ჩემ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდი, მდგომარეობს თემის მიხედვით ლიტერატურის შეკრებასა და მის ანალიზში, აგრეთვე, სტატისტიკური მასალის დამუშავებასა და მისი მიხედვით სარწმუნო დასკვნების გამოტანაში.